Николаю Николадзе

ი-59

იმერეთი

№ 1

წელიწადი ~~მესამე~~. IV

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

სამშაბათი 6 იანვარი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს [illegible]უძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ. [illegible] კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ,. უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

132

დაიწყო ხელის მოწერა 1915 წლისათვის

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„იმერეთ“-ზე

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგ დღეებისა.

გაზეთი ღირს:

1 წლით	6 თვით	3 თვით	1 თვით	ცალკე ნუმერი	საზღვარგარეთ
7 მან.,	4 მან.,	2 მ. 10 შ.	4 აბაზ.	1 შაური.	ორჯერ მეტი.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა სახლი გოკიელისა. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 12—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი. წვრილმან წერილების გამო, რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მოწვეული არიან ახალი თანამშრომლები.

193

ქ. ქუთაისი

მოსკოვის უდიდესი ფირმა

ამხანაგობა

„ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“

პატივისცემით აუწყებს ბ.ბ. მყიდველებს და კლიენტებს, რომ მან სრულ საკუთრებათ შეიძინა პარტიობით საქონლის საწყობი და წვრილი სავაჭრო მაღაზია პაებზე დამყარებული ამხანაგობის

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი“-ს,

რომელიც მდებარეობს ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბ ღის პირდაპირ.

როგორც წარმომადგენელს **პროხოროვის ტრიოხგორნი სამანუფაქტურო ამხანაგობისა**

ამხანაგობა „ნ. უდალოვს და ი. ვავილოვს“-ს

აქვს დიდი საფაბრიკო საწყობები სამანუფაქტურო საქონლის **მოსკოვში და როსტოვში**, რის გამოც მას შეძლება ცძლევა ქუთაისის განყოფილებისათვის მუდმივათ იქონიოს დიდძალი ასარჩევი საუკეთესო სამანუფაქტურო საქონელი სხვა-დასხვა ცნობილი ფირმების.

ქუთაისის თეატრი.

დღეს, 6 იანვარს, **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა

ლევან ბატონიშვილი

დრ. 5 მოქ.

მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

სავაჭრო

დ. ქებაძისა.

ვორონცოვის ქუჩა.

იყიდება ნარდათ ყოველგვარი საბაკალეინო საქონელი უტყუარ ფასებში.

10—1

ე. პ. ხოჯევანოვის პროგიმნაზიაში

სწავლა დაიწყება 7 იანვარს.

რედაქციისაგან.

თუმცა დიდი გასაჭირი ადგია ჩვენს ეყანას, ჩვენს პატარა საქართველოს, ვიიდან იგი უკვე გადაიქცა ბრძოლის პარეზად და მსოფლიო ომის შხეფებმა ენამდისაც მოაღწია; თუმცა არ ვიცით, ას მოგვიტანს ხვალინდელი დღე, ვინან დღევანდელ ორომტრიალისა და ბლის წვიმების შესახებ გადაჭრით ვეკის ვერაფერი უთქვამს-რა; თუმცა იგი- ხვალინდელი დღე ბურუსითა და წყვდიით არის მოცული, მაგრამ ჩვენ მაინც მშვიდებითა და სრულის შესმენით ვიებთ გაზეთ „იმერეთის“ გამოცემას. ენ ღრმათა გვწამს, რომ ეს „ხვალინდეი დღე“,—რაც უნდა შავბნელი იყოს დ,— შეიცვლება ბრწყინვალე მზიან ლეთ და მრავალტანჯული ჩვენი ქვეყანა და ხალხი თავისუფლათ ამოისუნთქავს. ის თავდებია ქართველ მებრძოლთა გმილათ დანთხეული სისხლი, ამის თავებია აუცილებელი შედეგი დღევანდელი დღისა და ყველაზე კი უფრო ამის თავმდებია გაღვიძებული და გამოფხიზლებული ხალხი.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, ქართველმა ხალხმა—ქართველ მშრომელთა უმრავლესობამ—უკვე შესდგა ფეხი გათვითცნობიერება-გაევროპიელების გზაზე. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ქართველმა ერმა გაითვალისწინა დღენი წარსულის ცხოვრებისა და მომავლის იდეალად თავისი ისტორიული დანიშნულების აღსრულება დაისახა. ეს დანიშნულება კი არის შენარჩუნება, რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად თვით არსებობისა და თვითმოქმედებისა, ვინაიდან ქართველი ერის სიკვდილი, პოეტისა არ იყოს, ჯერ განგებას არ უფიქრია.

ქართველი ხალხი გუშინდელი, ან მაწანწალა როდია. იგი ისეთივე ძველია, ვით ძველია თვით კაცობრიობა. ჯერ კიდევ **ოცი საუკუნის წინათ ქრისტემდე** ქართველი ხალხი ცნობილი იყო, როგორც გამჭრიახი, ძალოვანი და კულტუროსანი ხალხი. მას შემდეგ დღევან დღემდე მის თავზე გადაიარა ათასგვარმა ქარტეხილმა. ბევრჯერ ადგა ქართველ ხალხს გასაჭირი, მაგრამ „მის გული ანდამანტისა“ ვერ გასტეხეს ვერც ასსურელებმა, ვერც რომაელებმა, ვერც ბიზანტიელებმა, ვერც არაბებმა, ვერც სელჯუკებმა, ვერც მონღოლებმა, ვერც ჩინგიზყაენებმა, ვერც შაჰაბაზებმა!..' იმ დღიდან ამ დღემდე მოდის ქართველი ერი და ეწევა მწარე ცხოვრების ჭაპანს.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო შესდგა გაევროპიელების გზაზე და დიად რუსეთის ხალხთან ერთად უფრო ფხიზლად უფრო კულტუროსანთ ეგებება უკეთეს მომავალს, რის ღირსიც არის ქართველი ერი, რადგანაც არა ყვირილითა და თვალთმაქცობით, არა მოტყუებითა და მელაძუობით, არამედ დინჯად, წყნარად, თავის გულმკერდითა და სისხლით იცავენ ქართველთა შვილები თავის მოქალაქოვრივ უფლებას, თავის სამშობლოს, თავის სიტყვას.

დღეს რუსეთის მხედრობასთან ერთად სამასიათასამდე ქართველი ებრძვის საერთო სამშობლოს მტერს აღმოსავლეთითა, თუ დასავლეთით და თავის გმირობით ყველასაც აკვირვებს. ბევრი სისხლი დაიღვარა ქართველებისა, კიდევ ბევრი დაიღვრება, მაგრამ ეს სისხლი მუქთად არ ჩაივლის. უნდა ვიფიქროთ, რომ მადლიერი რუსეთი და მასთან ერთად მთელი განათლებული კაცობრიობა სამართლიანად დააფასებს ამ დიად მსხვერპლს, პაწია საქართველოსაგან შეწირულს და ზედამრჩო ქართველებს შვებას მიანიჭებს.

ამ ბედნიერი დღის მოლოდინში ჩვენც დინჯათ და წინ დახედვით განვაგრძობთ ჩვენს მცირე სამსახურს ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

ჩვენის ჯგუფის თუ წრის გულისთქმას და გზას, მისგან არჩეულს, უკვე კარგად იცნობენ ჩვენი თანამემამულენი და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ მოკლეთ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ჩვენი გაზეთი მტკიცეთ იდგება იმ პოზიციაზე, რომელიც მან შარშან დაიჭირა. ყველაფერი ხალხისათვის და ყოველივე ხალხისაგან, აი ჩვენი მცნება, ჩვენი ლოზუნგი. ამ ლოზუნგით გამოვიდა წარსული წლის გაზაფხულზე განახლებული „იმერეთი“, მაგრამ ამავე წლის აგვისტოში „იმერეთის“ სამართალში მიცემის გამო, იძულებული შევიქენით „იმერეთი“ „ახალ ივერიათ“ გადაგვექცია. „იმერეთის“ აკრძალვისას, ჩვენმა წრემ დიდის მეცადინეობის შემდეგ იშოვა ოფიციალური რედაქტორი და დაენდო კიდეც მას, მაგრამ ბოლოს ამ ოფიციალურმა რედაქტორმა ისარგებლა თავისის ოფიციალურის უფლებით, გაზეთი ხელიდან გამოსტაცა ჩვენს წრეს, გადასცა იგი ვიღაც ლიტერატურულ მოღლებს და უმართებულო ლანძღვა-გინება დაგვიწყო.

ორი სამი ნუმრის გამოცემის შემდეგ, ჩვენგან განდევნილი „ახალი ივერია“ მოკვდა, როგორც კვდება ხოლმე უძღები და უკეთური შვილი უპატრონოთ, უთანაგრძნობოთ.

გაზეთის გატაცების შემდეგ ჩვენ ვეღარ მოვახერხეთ ახალი ნებართვის აღება, ვიდრე არ განთავისუფლდა და არ გამართლდა „იმერეთი“.

წარსული წლის 18 დეკემბერს, ქუთაისის ოლქის სასამართლომ მართებულად იცნო ის წერილი, რომლის გულისთვისაც აკრძალეს „იმერეთი“, რედაქტორი გაამართლეს და გაზეთსაც ყადაღა ახსნეს. ეს განაჩენი ძალაში შევიდა 2 იანვარს ამა წლისა და, აი, დღეს ხელმეორეთ განახლებული „იმერეთი“ ულოცავს თავის მკითხველებს ახალ წელს.

რედაქცია ეცდება მეტის ერთგულებით ემსახუროს თავის საქმეს და მეტი ყურადღება დაიმსახუროს.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ ყველა ძველ ხელისმომწერლებს ანგარიშს გაუსწორებს გარდა იმ ხელისმომწერლებისა, რომელთაც „ახ. ივ.“ ოფიციალურ რედაქტორთანა და მის ამყოლთანა ჰქონდათ პირდაპირი დამოკიდებულობა.

P. S. ეს წერილი აწყობილი და „იმერეთის“ ნუმერიც დამზადებული გვქონდა, როცა შეგვატყობინეს რომ ჩვენ თანამშრომელს ი. თ. ცინცაძეს (ია ეკალაძეს) ნება მიეცა გამოსცეს თავის რედაქტორობით გაზეთი **„სამშობლო“**. ახლო მომავალში „იმერეთის“ მაგიერ გამოვა ეს ახალი გაზეთი.

მგოსანი აკაკი.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ჩვენი მხცოვანი მგოსანი აკაკი ამ ჟამათ ძლიერ ავათ იმყოფება. აგერ ათი დღეა, რაც მგოსანი ავათ არის და ავათმყოფობა თანდათან სერიოზნულ სახეს ღებულობს. მგოსანი ორი კვირის წინათ ქუთაისში იყო და სრულიად კარგად გრძნობდა თავს. თავისი მოსწრებული სიტყვით ნაცნობებსა და მეგობრებს ართობდა.

მგოსანი ამ ჟამათ დ. საჩხერეში წევს თავის სახლში. წამლობს ჰიათურის ექიმი ჯაფარიძე და საჩხერისა ჰოლოშვილი.

ქუთაისში ხმები გავრცელდა, რომ, ვითომც, მგოსანს ტვინის ანთება ჰქონდეს, ეს ცნობები ყველა სიმართლეს მოკლებულია.

როგორც მნახველები გადმოგვცემენ, მგოსანს მარცხენა ხელი და ფეხი და დამბლავებია, ასეთი ავათმყოფობა აკაკის რამდენიმე წლის წინათაც ჰქონდა და მარცხენა ლოყა დაუდამბლავდა.

4 იანვარს, აკაკის სახლში საჩხერეში შესდგა ექიმებთა კრება, რომელზეც ქუთაისიდან მოწვეული იყო ექიმი გ. გოკიელი. ექიმების დასკვნით, მგოსნის მდგომარეობა სამძიმოა.

რა მოხდა ჩვენში შარშან საყურადღებო.

წლის დასაწყისში გადაყვანილ იქნა თფილისის სამოსამართლო პალატის თავჯდომარე ლაგოდა.

იანვარში ქუთ. გუბერნიის მარშლათ დამტკიცებულ იქნა დ. ო. ნიჟარაძე, რომელსაც ძველ გუბერნატორთან გამწვავებული კამათი ჰქონდა.

13 იანვარს ნაძალადევში პოლიციელებს ყაჩაღ იმერლიშვილთან და პარესოვთან შეტაკება მოუხდა, რომლის დროსაც დაიჭრენ ორი ბოქაული, სამი უბნის ზედამხედველი და ხუთი „გოროდოვოი“. ყაჩაღებმა მოახერხს მიმალვა, ხოლო იმერლიშვილი შემთხვევით გამსკდარ ყუმბარისაგან დაიღუპა.

26 იანვარს გადახდილ იქნა დამსახურებული ქართველი არტისტის კ. დ. ყიფიანის სადღესასწაულო იუბილე.

იანვრის ბოლოს სოხუმის კათედრა დასტოვა სოხუმის ეპისკოპოზმა ანდრიავ (ერობაში თ-დ უხტომსკი).

გადაიცვალა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ბ. ს. ესაძე.

გადაიცვალა სომეხი მოღვაწე აბესალომ იოანისიანი.

ქუთაისში გადაიცვალა ნაფიცი ვექილი მ. ა. ქიქოძე.

თფილისში მოხდა საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების კრება.

გარდაიცვალა თფილისის თვითმართველობის უხუცესი ხმოსანი ა. თ. ფრიდონოვი, რომელიც 37 წელს იყო ხმოსნათ.

28 თებერვალს ქ. ბაქოში თვითმართველობის შენობას გარს შემოერტყენ ქალაქის მიწებზე მცხოვრებნი მაჰმადიანები და მოითხოვეს თვითმართველობისაგან ქალაქის მიწებიდან მათი გადასახლების შესახებ დადგენილების გაუქმება. საქმე მშვიდობიანათ დასრულდა.

16 მარტს თფილისში „ახალი კლუბის“ შენობაში გუბერნიის მარშლის თ-დ. კ. ნ. აბხაზის თავჯდომარეობით მოხდა კავკასიის კომერციული ბანკის დამფუძნებელთა კრება. ომიანობის გამო, ბანკის დაარსების საქმე გადაიდვა განუსაზღვრელ დრომდი.

ხელმწიფის მოადგილის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა ნატანებიდან ოზურგეთამდი რკინის გზის გაყვანის შესახებ.

20 აპრილს კავკასიის ექიმთა საზოგადოების დაარსებიდა 50 წლის იუბილე იდღესასწაულეს.

21 აპრილს თფილისში ჩამოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე თავადაზნაურობამ პატივსაცემათ რაუტი გაუმართა.

4 მაისს კავკასიის პოლიტეხნიკუმის საძირკველი აკურთხეს.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ საქართველოს ეგზარხს წერილობითი მოხსენება წარუდგინა ქართული ეკლესიის საქმეთა გაუმჯობესობის შესახებ.

15 მაისს გადაიცვალა დამსახურებული ქართველი არტისტი კ. ს. მესხი.

20 მაისს გადაიცვალა საქართველოს ეგზარხი, არქიეპისკოპოზი ალექსი.

1 ივნისს გადაიცვალა ქართველი მოღვაწე და ქველმოქმედი ა. ი. სარაჯიშვილი.

ბაქოში ნავთის სამრეწველოს მუშები გაიფიცენ. გაფიცვამ მშვიდობიანათ ჩაიარა

ხელმწიფის მოადგილის წარდგენით, უმართებულესმა სენატმა გამოძიება დანიშნა ქუთაისის ყოფილ გუბერნატორის სლავოჩინსკის, ვიცეგუბერნატორის მაკაროვის საგუბერნიო ინჟინრის შტემბერგის და საქმეთა მწარმოებლის ტრეიერის შესახებ.

ნამესტნიკის საბჭომ ნება დართო თფილისის თვითმართველობას გძელვადიანი სესხის 830,000 მანეთის აღების შესახებ ქალაქის მიწების დაგირავებით.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ეგზამენები შესწყდა მთავრობის წარმომადგენლის ბ. კორიცკის უტაკტობით. ეგზამენები ზაფხულის ბოლოსთვის გადაიდვა. გიმნაზიის დირექტორი ბ. ი. ი. ოცხელი და ცნობილი მოღვაწე ს. ი. ხუნდაძე სამსახურიდან გადააყენეს.

აგვისტოში ბ. ი. ი. ოცხელს თავის თანამდებობა დაუბრუნეს.

გადაიცვალა წარჩინებული მანდილოსანი და ქველმოქმედი ალექსანდრა მაკარის ასული მელიქოვისა.

საქართველოს ეგზარხათ დანიშნულ იქნა სამარის არქიეპისკოპოსი პიტირიმი.

თფილისის გუბერნატორი ჩერნიავსკი ვიატკაში გადაიყვანეს, მის ადგილზე ვიატკის გუბერნატორი სტრახოვსკი დაინიშნა.

9. ივლის თფილისის ტრამვაის მუშების გაფიცვა მოხდა. გაფიცვამ უნაყოფოთ ჩაიარა და [illegible] საზოგადო აზრის ზეგავლენით

ომის გამოცხადების გამო, პატრიოტული მანიფესტაციები გაიმართა.

თფილისში დაიწვა ქართული თეატრი. ძლიერ დაზარალდა ქარ. შორ. წერ. კ. გამ. საზ. საწყობი.

ოსმალეთთან ომის გამოცხადებისა და ფოთზე ზარბაზნების დაშენის გამო, ბათომიდან, ფოთიდან და სოხუმიდან საწავლებლები ქუთაისში გადაიტანეს.

1914 წლის დასასრული ღირსშესანიშნავი იყო თფილისში ხელმწიფე იმპერატორის მობძანებით.

კავკასიის ასპარეზზე ბრძოლის გაფართოებამ საზოგადოებრივი ცხოვრება უკან დასწია.

თფილისში გამოვიდა ავტონომიის მომხრე დასელთა ჯგუფის ორგანო „შადრევანი“.

მეშტვირე.

პიესა უმოქმედებოთ.

(სცენა: დიდი ეზო; გაჩირაღდნებული შენობა, ქუთათურები ერთად შეკრებილან და ახალ წელიწადს ეგებებიან. უმრავლესობა ვაჟებისა შეზარხოშებულია. ხალხი დიდი შენობის სხვადასხვა ოთახებში დაფანტულა: ზოგი ვახშმობს, ზოგი მოსხდომია ბანქოს სათამაშო მაგიდებს, ზოგი დატრიალებს, ნაცნობებს დაეძებს. მდიდრულათ მორთული, ყელ მოღეღილი ქალები საცეკვავათ ემზადებიან. მუსიკის დაკვრას უცდიან. კარგათ გამობრუჟული ახალგაზრდობა შენობის შესავალში სდგანან და უწმაწურათ ოხუნჯობენ. ამ დროს კარებს მოადგება რაჭველი მეშტვირე. ყმაწვილებს ყრიამული შეუდგებათ, დაავლებენ ხელს მოხუც მეშტვირეს, ანუ სახანდარს, როგორც იმერეთში ეძახიან, სკამით დააჯიღდოებენ და შეუყვებიან შენობის ყველა ოთახების ჩამოვლას. მეშტვირეს გამოჩენა თითოეულ ოთახში ჯერ განცვიფრებას იწვევს და მერე აღტაცებას. მეშტვირე შუა ხნის კაცია. გაბურძგნული თმა წვერიანი. თვალები ეშმაკურად უცინის)...

მეშტვირე.

ღმერთო და წმინდა გიორგი,
თქვენა ხართ ჩემი გამჩენი,
ვენაცვალე თქვენ სახელსა
თქვენვე ხართ ჩემი დამჩენი!
(გუდას ჩაბერავს).
პიი, პუო, პუო, პიო,
შემომხედე ჩემო შტვირო,
მე რომ ხოტბის თქმა დავიწყო,
ჰანგები არ დამიძვირო!..
რას ვიფიქრებდი ბეჩავი
რაჭველი გლეხი ბერია
სიზმარშიც ვერა ვნახავდი—
მეფიქრა ჩემი დღენია—
ამისთანა კაი კრებულს,
ამისთანა დარბაზებსა,
გაიხსნიან ჯიბე—უბეს
დამითვლიან აბაზებსა.

(ღიმილით ყველას ათვალიერებს. მერე შეაჩერდება ერთი მაღალი ტანისა და უსიამოვნო სახის ახალგაზრდა კაცს და კვლავ გუდას ჩაბერავს).

პიი, პუო, პუო, პიო!—
გენაცვალე სტვირის გუდავ!
თქვენი სახელი მიბძანე...
არ გამიწყრეთ აყლაყუდავ!
(მოისმის ხმები: რედაქტორი! რედაქტორი!)

მომატყუე რედაქტორს.

რედაქტორი?.. გამიგია,
კაცსა ქვია მეგაზეთეს,
ქვეყნის ჭკუის მასწავლებელს,
ჩაგრულთ ქომაგს და მოკეთეს...
შენ კი თვალებში გეტყობა
ცულლუტი ხარ მეტის-მეტი,
კაცსა ხელში მოუკვდები
ვით ციკანი წვერცამეტი!..
ვინ გაკურხა რედაქტორათ,
ვინ მოგცა ძალა, უფლება.
ვის გაუგია ეშმაკის
ანგელოზთან შეუღლება!..
ღმერთმა დასწყევლოს ჩვენი დრო
ჩვენი წესი და ადათი,
მომატყუე-რედაქტორის
ზნე, ჭკუა და სალავათი!..
გროშისათვის ღმერთს გაჰყიდის,
ოღონც გამოიძღოს კუჭი!..
ხალხისათვის სამსახური
მისთვის არის მცნება ფუჭი!
(ხალხი ხარხარებს.)
პიი, პუო, პუო, პიო...
რათა კვნესის ჩემი სტვირი...
შენი სახელი რაღაა
წვერას რომ მიგიგავს ცხვირი
(მოისმის ხმები: ქართველი ინტელიგ ტის).

ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტებს.

— ქართველი ინტილიგენტი?
რა კარგი გასაგონია,
მისებრი ტკბილი ბაასი
მე არსად გამიგონია!
კარგი აქვს ჭკუა, გონება,
კარგი აქვს სამელ-საჭმელი,
მაგრამ მე მაინც გიამბობთ,
რაც კი რამა მაქვს სათქმელი:
შემომივლია ქვეყანა
სოფელი ათი-ათასი,
სალოცავათ გადამექცა,
საქართველო და კავკასი
მაგრამ ქართველ ინტელიგენტს
ვერ ვასწავლე ქვეყნის ფასი.
მთელი ღამე კლუბში არის,
ღამეებს სტეხს წარა-მარა,
თავის ღმერთად გაუხდია
ფრაპი, ვინტი და ჩაქარა.
ქართულს აღარ ლაპარაკობს
თავი მოსწონს უცხო ენით...
და თუ რამე გაუბედე,
შემოგიტევს დიდის წყენით:
„რა ქართული, რის ქართული
რა თეატრი, რის მწერლობა...
ოღონც მქონდეს ბანქოს ფულ
სხვა ყველაა სულელობა.

ომის მოსალოდნელი შედეგები.

დიდ ამბავს—დიდი შედეგი მოსდევს. და, რადგან ისტორიაში ჯერ არა ყოფილა რა ისეთი, თავისი სიდიადით რომ დღევანდელ საერთაშორისო ომს შეედრებოდეს, წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდ ამბებს მოვესწრებით.

ვფიქრობთ, ეს ომი ახალსა და ძველს ისტორიას შორის საზღვარსა სდებს.

რამ გამოიწვია ეს საშინელი ქარტეხილი?! რამ აიძულა განათლებული ერები, ერთმანეთს რომ ამოსაჟლეტად აღარა ზოგავენ? რისთვის ანგრევენ კულტურას, რომელიც კაცობრიობის ხანგრძლივსა და შეუპოვარ მუშაობას შეუქმნია?

ამ საკითხზე უწინდელი იდეოლოგია სწორ პასუხს ვერ გვეუბნება. ჩაილურის წყალს ჩაბარდა სოციალდემოკრატების აზრი, ვითომ ომს, როგორც სხვას ყველაფერს, მარტო ეკონომიური მიზეზი შობდეს, რადგან ეს ომი არც ერთი მებრძოლი მხარისათვის ეკონომიურად სასარგებლო არ არის და არც იქნება. ჩაილურის წყალსავე ჩაბარდა მათი მოძღვრების ის დედა-აზრიც, ვითომ ისტორია მარტო კლასთა ბრძოლას წარმოადგენს, რადგან დღეს თითოეულ მებრძოლ სახელმწიფოში ეროვნული თავდაცვისათვის ყველა კლასი და პარტია შეერთდა და ომმა სახალხო ხასიათი მიიღო. ვანდერველდე, გედი, სემბა და სხ. ბურჟუაზიის მინისტრებს უდგიან მხარში. პლეხანოვი, ბურცევი, კროპოტკინი და სხ. პარტიულ მიზანს ივიწყებენ და ყველა კლასსა და პარტიას ეროვნული ერთობისათვის მოუწოდებენ. გერმანიის სოციალდემოკრატებმა საქვეყნოდ განაცხადეს, დღეს გერმანიაში პარტიები აღარ [illegible]

მაშ რაა ის დიადი იდეა, რომელსაც ყველაფერი მსხვერპლად ეწირება: კლასთა ბრძოლაც ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებიც, კულტურა და მეცნიერებაც და საერთაშორისო ძმობა და ერთობაც?!

ეს დიადი იდეა—ეროვნების იდეა არის. თითოეულ ერს სურს დაიცვას თავისი ეროვნული ვინაობა, დაიცვას თავი ეროვნული გადაგვარებისა და მონობისაგან. ულმობელ საერთაშორისო ბრძოლაში მცირეოდენი ნაბიჯის დათმობაც საშიშარია, რადგან, რამდენადაც დამარცხებულს აკლდება ღონე, იმდენადვე ემატება გამარჯვებულს. ამიტომ არის ეს ომი ასე სასტიკი!

ვიდრე მარტო პატარა ერები იყვნენ განსაცდელში, არა თუ ბურჟუაზია, არამედ საერთაშორისო სოციალდემოკრატიაც კი მცირემნიშვნელოვნად აღიარებდა ეროვნულ საკითხს, ეროვნული უფლების მოპოებისათვის ბრძოლა კი, პირიქით, მეწვრილმანურ, შოვინისტურ საქმედ და საერთო სოციალური მიზნის ღალატად მიაჩნდა.

ამგვარად პატარა ერების ეროვნული დემოკრატიის მიზანი დიდი სოციალდემოკრატიის მიერ უარყოფილი და საცინლად აგდებული იყო.

ასე ფიქრობდენ მთელი ქვეყნის სოციალდემოკრატები. მაგრამ დღეს ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ ეროვნული საკითხის ჩაჩუმება და გადაფუჩეჩება—დიდი შეცდომა იყო. ეროვნული ანტაგონიზმის ცეცხლი ღვიოდა და, თავის დროზე რომ გაენელებიათ, შეიძლება კაცობრიობა კიდევაც ასცდებოდა დღევანდელი ომის საშინელებას. ჩაჩუმებითა და გადაფუჩეჩებით საკითხის გადაწყვეტა განა შეიძლება?!

ცხადია, ეროვნული საკითხი მარტო პატარა ერებისთვის არის საინტერესო. ეს რომ მართალი ყოფილიყო, ეროვნული საკითხი აქამდის გადაწყდებოდა, რადგან პატარა ერები შეურიგდებოდენ თავ-თავის მდგომარეობას ძალით ან ნებით.

მაგრამ ეს საკითხი დიდ ერებსაც ეხება, საერთოა, საკაცობრიოა. და ამიტომ არის ძნელი გადასაწყვეტი. დღევანდელს საერთო დიდ ბრძოლაში ხომ ყველა ერი, დიდიცა და პატარაც, ერთგვარათ არის ჩაბმული.

ეროვნული საკითხი, მაშასადამე, უდიდესი სოციალური საკითხია. ის წინ უსწრებს და აღემატება კლასთა დამოკიდებულობისა და ურთიერთობის საკითხს, რადგან მისი გამწვავება სრულიად ანელებს და სპობს კლასთა ბრძოლას. და ვიდრე ეს ძირითადი საკითხი არ გადაწყდება, ვერ გადაწყდება ვერც კლასთა ურთიერთობის საკითხიც

ეროვნულმა ბრძოლამ და უთანასწორობამ დაბადა მონობა და კლასთა უთანასწორობა. და მხოლოდ საერთაშორისო ძმობას შეუძლია აღადგინოს სოციალური ძმობაც.

და, ვფიქრობ, ეროვნების იდეა ნიადაგს მოიპოვებს ომის შემდეგ. უკვე ვხედავთ ამის ნიშნებს. რუსეთმა სერბიისა და პოლონეთის ეროვნული უფლებანი საქვეყნოთ აღიარა. ფრანგები აცხადებენ, ეროვნულ უფლებათათვის ვიბრძვითო. ინგლისის დიდ იმპერიას რომ ეროვნებათა ავტონომიური თავისუფლება უდევს საფუძვლად. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ ასცდება ამ ისტორიულ გზას. რეაქცია შეუძლებელი-ღა იქნება და ყველგან გაიკვლევს გზას თავისუფლება და პროგრესი. და ეს დიდი შედეგი შესაფერი იქნება იმ აურაცხელი მსხვერპლისა, რომელიც [illegible]

მაგრამ როგორი? მკითხავს გაოცებული მკითხველი: განა შესაძლებელია, სისხლმა მირონი წარმოშვას და ბრძოლამ საერთაშორისო მშვიდობა?

დიაღ! შესაძლებელია ისე, როგორც ოცდაათწლიანმა ომებმა სინიდისის თავისუფლება დაბადა და შემდეგ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ბატონყმობა ძირიან ფესვიანად ამოაგდო. მაშინაც ხომ ბრძოლამ შვა თავისუფლება, მაშასადამე მშვიდობა!

დღევანდელი დიადი ბრძოლა, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს, უკვალოდ არ ჩაივლის და კაცობრიობის მეხსიერებაში და შეგნებაში ღრმად აღიბეჭდება. კაცობრიობა შეიგნებს, რომ ამგვარისა და კიდევ უარესი საშინელების თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ბრძოლის მიზეზის მოსპობა, ე. ი. ეროვნული საკითხის რადიკალური, ძირითადი გადაწყვეტა. ეს შეგნება დიდაც ღირს იმ აუარებელ მსხვერპლათ, რომელიც ამ ომმა შეიწირა. და, ამიტომ, ვფიქრობ, რომ დღევანდელი ომი უკანასკნელია, მისთ მსგავსი აწ აღარაფერი გამეორდება.

კერძოდ ქართველებს ბევრჯერ დაუმტკიცებიათ რუსეთისადმი ერთგულობა. დღევანდელი მათი საარაკო თავგანწირულობა და გმირობა ხომ ყველამ დაინახა და აღიარა. და, დარწმუნებული ვარ, რუსეთის საზოგადოება ღირსეულად დააფასებს მათს ღვაწლსა და ამაგს, რადგან საერთო განსაცდელი კიდევ უფრო განამტკიცებს ერთობას, ამიტომ, უეჭველია, ქართველთა ცხოვრებაშიაც ახალი ხანა დადგება და ჩვენი ქვეყანაც ეღირსება ეროვნულ თვითმართველობასა და, მაშასადამე, მონაწილე იქნება განახლებული რუსეთის სამოქალაქო პროგრესისა.

რაც შეეხება სოციალურ რეფორმებ ამ მხრივაც, უეჭველია, დიდი ცვლილება მოხდება. ყოვლის უწინარესად სოციალიზმს ჩამოშორდება უტოპიური ნაწილი და დემოკრატია რეალურ გზაზე შედგამს ნაბიჯს.

როდესაც შეუძლებელს რამე ისახავ მიზნად—ტყვილა, უსარგებლოდ იფლანგება ენერგია. და, როდესაც მიზანი შესაძლებელია, თითოეული ნაბიჯიც კი მიგაახლოვებს მისკენ.

სოციალისტების უმეტესობას სწამდა, საერთაშორისო ომს შედეგად სოციალიზმი მოჰყვებაო. ამ რწმენას დღეს აღარავინ აღარ იზიარებს, რის გამოც სოციოლოგია, უეჭველია, ჭეშმარიტი მეცნიერების სისწორით გაიკვლევს გზას, დე მოკრატია კი ამ ნიადაგზე უპირატეს ბას მოიპოვებს.

არა სოციალიზმისა, არამედ დემო ტიის მეფობა დადგება ომს შემდეგ. რი ცრუ რწმენა და უსამართლობა ლურის წყალს ჩაბარდება და დემოკ ტიული სახელმწიფოები იმ დაუშრეტ მატერიალურ საშუალებას, რომელ აქამდის მილიტარიზმს სწირავდენ მსხ პლად,—ხალხის ეკონომიურ კეთილ ობას მოახმარებენ.

განხორციელდება ჰენრი ჯორჯის და სახელმწიფო კრედიტის საშუალე პროლეტარები კერძო მესაკუთრეებად იქნებიან. იგივე კრედიტი დაეხმარებ რიბ მუშებს, რომელნიც კი ქარხ გამართვას მოუსურვებენ. გამართლ ლასსალის ოცნება. კრედიტისავე წყა ბით განახორციელებენ სასოფლო ს გადოებანი მიწების მორწყვასა, ჭაო ბის დაშრობას, მდინარეთა ნაპირ გამაგრებასა, ახალი სამეურნეო კულ რის შემოღებასა და სხვა საქმეებს ქალაქო მუნიციპალიტეტები განახ

(ხალხში დიდი ჩოჩქოლია, მესტვირე პირს იბრუნებს და დაინახავს გულ მოღეღილ, უცნაურათ მორთულ ქალებს.

ზოგიერთ ქართველ ქალებს.

თქვენი სახელი იქნება
ან მარუსა და ან ვერა...
ყველა მოწიწებით გიმზერთ
ბრძენია, თუ გაიძვერა...
მეც მინდა რომ ქება გიძღვნათ
თქვენ გულ-მკერდსა ვუწყო მზერა..
მეც კაცი ვარ ხორცში მყოფი,
თუმც არ მწყალობს ბედის-წერა...
ერთხელ მაინც გამოვცადო,
სასიამო გულის ძგერა...
ქალო შავთვალავ, ლამაზო.
სახეზე გადგას ნათელი,
შენი მიჯნურიც დაიწვას
ვით კელაპტარის სანთელი,
ვიცი არ დამენდურები.—
მითხარი შენი სახელი,
ქებით შეგიმკობ მეგობრებს
ჟორჟიკაა თუ მიშელი.

(ამ დროს ერთი ქალი წამოიძახებს: სახელი არ უთხრა. მესტვირე ახლა იმას მიმართავს).

ჰაეროპლანს მომაგონებ,
შებორკილხარ ათას ფერათ,
ვაჰ შენ პატრონს, ალბათ მუდამ
შემოგცქერის ალმაცერათ...
დედა-კაცის რა გაცხია
ჩიტსა გავხარ ღაბუასა,
ათასები არ ეყოფა
შენ მუფტას და შენ „ბუასა".
შენი გაზდილი შვილები
დააკვნესე ბაბუასა!..

(ამ დროს დარბაზში ასტყდება დიდი აურზაური. გაისმის ხმები: დალიე! არ დავლევ! დადექ! შეიქნება ბოთლების ტრიალი, ჭურჭლის მტვრევა. ქალები წივილ-კივილით იფანტებიან. მესტვირეც გამოიპარება და ნ მიღიღინებს.

„ამდენი ლაპარაკითა
ენას არა აქვს სისველე
ღვთისმშობელო, შემეწიე
წმინდა გიორგი მიშველე!".
შემოქმედო, შენ დალახვრე
მტკნარა ხორათ სისულელე!

კ. კატოშვილი.

დეპეში.

ლაქის თავს ი. ჩიქოვანს ბათომიდან შემდეგი დეპეში მოუვიდა:

ქუთაისის ქართველთა რაზმი ჩემის რით გულწრფელ მადლობასა და ერთლ სალამს გიძღვნისთ თქვენ და მთეს ქუთაისის მცხოვრებლებს იმ გულერვალე თანაგრძნობისათვის, რომეც თქვენ გამოიჩინეთ რაზმის ქუთაისი გაცილების დროს.

რაზმის უფროსი პოლკოვნიკი
დ. ო ნიჟარაძე.

ახალი ამბავი.

◆ ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ კვირას, 4 იანვარს ქუთაისის ბაზრები დაათვალიერა და ამ მოკლე ხანში თავის მოხსენებას წარადგენს გამგეობაში.

◆ 8 იანვარს, ქალაქის თეატრში გაიმართება დამსახურებული მსახიობის ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ბენეფისი. მობენეფისე ხსენებულ დღისათვის სდგამს ცნობილ პიესას „ედმონდ-კინი" ს.

◆ ამ დღესასწაულებზე რამდენიმე დღით მთავრობამ ნება დართო მაგარი სასმელების გაყიდვისა.

◆ 4 იანვარს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა დრამატიულ საზოგადოების გამგეობის კრება. კრებაზე მსჯელობა იქონიეს მდგომარე სეზონის შესახებ. გამგეობამ სურვილი გამოსთქვა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ჟამათ თეატრში ძლიერ ცოტა შემოსავალი არის, სეზონი მაინც დაამთავრონ და მსახიობები იანვრის დამლევამდის არ დაითხოვონ.

◆ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 12 იანვარისათვის.

◆ ქუთაისში დღესასწაულებმა ძლიერ მოწყენით ჩაიარა. ძველებური მხიარულება ღარსათ სჩანდა.

◆ 4 იანვარს, ქუთაისიდან წაიყვანეს ქართველთა რაზმი.

◆ 3 იანვარს ქალაქის თეატრში ვალ. შალიკაშვილის საბენეფისოთ წარმოადგინეს „კენჭობანა" 1 მოქმ. დრ. ვ. შალიკაშვილისა და დ. კლდიაშვილის კომედიები: „დარისპანის გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება". ბოლოს გაიმართა სიმღერა და გურული სცენების კითხვა. მობენეფისეს საჩუქრები მიართვეს და ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. მსახიობმა ვ. გუნიამ ამხანაგების პირით მობენეფისეს გრძნობიერი სიტყვით მიმართა.

◆ 12 იანვარს ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ საზოგადო საკრებულოს დარბაზში საღამო გაიმართება.

◆ დღეს ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „ლევან ბატონიშვილი"

◆ [illegible] ჯვარისიდან (ოკრიბა) გვწერენ, განზრახვა ჰქონიათ ამ მოკლე ხანში დააარსონ წვრილი კრედიტის ამხანაგობა.

◆ 3 იანვარს, გასტეხეს ქ. შ. წ. კით გამავრცელებელი ქუთ. განყოფილების სტამბა. სტამბის კასიდან წაიღეს 2 მ. და 10 შაური. გამოირკვა, ფულის წამღები პატარა ბავშვი უნდა ყოფილიყო.

◆ პირველი იანვრიდან ქუთაისში გამოდის ორკვირეული ჟურნალი „განთიადი"

◆ ქუთაისის ბაზარზე ამ ჟამათ სანოვაგე შემდეგ ფასებში გადის: სიმინდი ფუთი—1 მან., სიმ. ფქვილი 1 მ. და 1 აბაზი, ღომი 2 მ. და 2 აბაზი. კომბოსტო 3 აბაზ, ყველი ჩარექი 10 შაური, კვერცხი 10 ცალი 1 აბაზ. ნავთი გირვანქა 6 კაპ.

მილოცვები.

ქალაქის გამგეობას.

დარბაზი გაქვს ბჭე-მაღალი,
შესავალი მეტათ ფართო,
ახლა მაინც გამოფხიზლდი
ჭირზე ჭირი არ დაართო.

——

ქალაქის მოურავს.

მანუჩარის ძევ, ილია
არ მოგივიდეს ძილია,
სახელთან საქმის კეთებაც
იცოდე მეტად ტკბილია.

——

ს. ქვარიანს.

ჰაერ-ჰოერის ხელმწიფე
წვერს არ იღებავს ინითა
არცა სჭამს მარილიანსა
არც დაითრობა ღვინითა
რაც ენაზე მოადგება
ვერ დაიჭირავს კბილითა.

——

ცახელს.

შენი ლექსების სიამე
დღესაც მავსებს ლხინითა
რისთვის შემოსწყვერ შენ მუზას
ნუ თუ ვერ გძელ ძილითა?...

——

„შრომის" რედაქციას.

ტყვილათ ყოფნას,
ტყვილათ შრომა სჯობია.

——

„განთიადის" რედაქციას.

პაწია ხარ, თმა ქოჩორა
მოგიხდება სავარცხელი,
ღმერთმა მალე შეგისრულოს
რასაცა სთხოვ, რასაც ელი!

——

ხომლელს

ზეზერი ხარის რქანიც კარგია.

——

ქუთაისის ქართულ კულტურულ დაწესებულებებს.

მარტო სახელით რომ საქმე გაკეთდებოდეს, აქამდი ქვეყანა აყვავდებოდა.

——

ესფერებს.

წამოგეზარდენ შვილები,
შემოგეპარა ზამთარი
ტერიტორიის საკითხმა
მთლათ აგირია დავთარი.

——

დასელებს.

ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

——

მათვე.

ომი დაიწყო, ბიჭებო,
მომეცით მაჯახლაო,
ერთმანეთს შევეხოცებით
პროლეტარები ყველაო.

——

იმას, ვინც თავის თავს იცნობს.

სამი წელიწადი ვილაპარაკებ,
ოღონც ფულებს კი ნუ მომთხოვთ
რაიმე საქმისათვის.

——

ია ეკალაძეს.

მიდის მოდის გაბრიელი
არავინ ჰყავს მადლიერი...
(შემდეგი იქნება).

სკვინჩა.

ორ-კვირეული ჟურნალი „განთიადი".

დღეს დღეობით ისეთი დროა, რომ ბევრი რამ **თვალ-საჩინო მოვლენა ჩვენი შინაურის ცხოვრებისა,** შეიძლება, ფართო საზოგადოებას, მასსას, შეუნიშნავადაც კი დარჩეს, რადგანაც მსოფლიო ომი, მისგან გამოწვეული აურზაური, შიში და „ხვალ რა იქნებას" ფიქრი უფრო იზიდავს უმრავლესობას. როცა სახლს ცეცხლი უკიდია, თავზარდაცემული სახლის პატრონი უფრო იმასა ჰფიქრობს, რომ როგორმე თავი დააღწიოს ულმობელ სტიქიონს და თუ მთელი წლობით მოგროვილი სიმდიდრე, საუნჯე დაეღუპება—იმას იმდენად აღარა სწუხს. ასეთ ყოფნაშია დღეს უმრავლესობა: ცარიელ ტარიელ თავის გადარჩენას ყველაფერს ამჯობინებს. ამის ცოცხალი მაგალითია შობის წინადღეებში ატეხილი აურზაური.

ბრძანება მოუვიდათ მოხელეებს: ოცდა ოთხ საათში თავს უშველეთო. დაფთხა, დარეტიანდა შეძლე და უფრო ზურგმაგარი ნაწილი ქუთაისის საზოგადოებისა. ოცდა ოთხ საათში კი არა, თორმეტი საათის განმავლობაში გამოიკრეს ბოლჩები და რკინის გზის სადგურზე გაჩნდენ. რომ გეკითხათ: სად მიხვალთ, ვის უტოვებთ სახლ კარს, ქონებას, ავეჯს, ნათესავ-მეგობრებს, სამშობლოსო, ვერც ერთი ადამიანურ პასუხს ვერ მოგცემდათ, ისე იყვნენ გაოგნებულნი. რაღასაკვირველია [illegible], რომ ამ გვარ მდგომარეობაში ბევრი რამ საყურადღებო და თვალსაჩინო მოვლენა ჩვენის შინაურ ცხოვრებისა შეუმჩნეველი დაურჩეს ქართველ საზოგადოების უმრავლესობას?!

დამნაშავეა ქვეყნის ორგული, თუ გულ-გრილი შვილი, როცა თავის თავის მეტი აღარა აგონდება რა, მაგრამ ერთი ორათ დამნაშავე იქნება ის, ვისი მოვალეობაც არის ხალხის დამშვიდება, ხალხის გამოფხიზლება—გამხნევება და საჭირო დროს კი ხმას არ ამოიღებს.

ხალხის ერთი უერთგულესი დარაჯთაგანი არის ბეჭდვითი სიტყვა, პრესსა და უნდა ვაღიაროთ სასახელოდ ქართული პრესსისა, რომ დღეს იგი მეტად ფხიზლათ იქცევა და გაჭირებაში ჩავარდნილ ჩვენ ხალხს ერთ ხმად ურჩევს აუჩქარებლობას და თავის ქვეყნის მოვლას, თუნდა ასეთი სურვილი სიცოცხლეთაც კი დაუჯდეს ზოგიერთ ჩვენგანს. ასეთ პრესსას, ასეთ ბეჭდვითი სიტყვას პირველ იანვრიდან მიემატა ერთი ორგანოც, ჯერ სულ პაწია, სუსტი, მაგრამ დიდი იმედების აღმძვრელი.

მე მოგახსენებთ ჟურნალ **განთიადის** შესახებ.

ამიერიდან ეს ჟურნალი გამოვა ქუთაისში თვეში ორჯერ. მისი ხელმძღვანელია ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი ბ-ნი ხომლელი, გამოცდილი და დახელოვნებული კალმოსანი.

ხელ მოკლეობისა და უდროობის გამო ბატონ ხომლელს მღვ. ს. მჭედლიძის რედაქტორობისათვის შეუფარებია თავი, მაგრამ ეს გარემოება უფრო ფორმალურია და ვინც კი იცნობს ბ-ნ ხომლელს, ეჭვი არ არის გულმხურვალედ მოეხმარება მას, რომ შეიქმნას ერთი რიგიანი და ყოვლად საჭირო თვიური ჟურნალი, ჟურნალი სერიოზული და ჩვენი ცხოვრებისა თუ მწერლობის დამასურათებელი.

ჩვენ ვიცით რომ, მას შემდეგ რაც „მოამბე" დაიხურა, ამერ-იმერეთში ქართული თვალ-საჩინო ჟურნალი აღარა გვაქვს და ეს კი დიდი ნაკლია ჩვენის მწერლობისათვის. ვისურვოთ რომ „**განთიადს**" შეავსოს ეს ნაკლი.

„**განთიადის**" პირველ ნუმერში მოთავსებულია რამდენიმე საყურადღებო წერილი, (თუმცა ეს წერილები საგაზეთო მასალას უფრო მოგვაგონებენ.) და მათ შორის [illegible] ჟურნალის [illegible] ქვათ, პროგრამა სამერმისო შემოქმედების, [illegible] რას გვეუბნება ეს წერილი.

ჩვენი ჟურნალი „განთიადი" იქნება ქართველი ერის ცხოვრების [illegible] მშრომელი დემოკრატიის გრძნობა გონების, შემოქმედებითი მუშაობის [illegible] მხატველი...

ჩვენ ამ დიდ საქვეყნო საგნის შესახებ, შესძლებისდაგვარად, ვეცდებით გამოვთქვათ ჩვენი აზრები და გულისნადები, ჩვენი მრწამსი. და ამით უფრო ცხადს ვყოფთ ჩვენს გზასაც, რასაკვირველია.

ჩვენ ვეცდებით ჩვენი ცხოვრების დიფერენციაციას ყური ფრთხილათ ვათხოვოთ და მისგან შექნილი სხვა და სხვა კლასობრივი ერთეულები შეძლებისდაგვარათ ჩამოვაყალიბოთ, გავარკვიოთ მათი იდეოლოგები, რომ მივანიჭოთ იმათ შესაფერი ადგილი ქართულს ლიტერატურაში.

აი, ეს დიდი საგანი, ეს ჩვენი ტრფიალი, ეს ჩვენი სულის და გულის დიადი წყურვილი გვინდა გამოვხატოთ ქართული ენის მდიდარს და შვენიერს, სუბუქს ფორმებში, რომ ჩვენი ხმა ყველამ ნათლათ გაიგონოს და შეისმინოს.

მაგრამ ამავე დროს ერთი დიადი, წმიდა და უძვირესი სამლოცველო და ჭეშმარიტება ჩვენთვის ჩვენი საკუთარი ეროვნებაა.

ჩვენი ეროვნება, მრავალტანჯული ქართველი ერი იპყრობს მთელ ჩვენს ყურადღებას; ეს ჩვენი ერი სხვა დაჩაგრულ ეროვნებათა შორის წარმოადგენს განსაკუთრებულს ინდივიდუალურ ერთეულს და ჩვენი ჟურნალი ამ თავის სამლოცველოს ერთგულებს, რასაკვირველია..

ეს გახლავთ ინდივიდუალიზმი ჩვენი ეტიკო-პოლიტიკური ცხოვრებისა და ინდივიდუალიზმი მხატვრულ-შემოქმედების განსხვავებისაც სწორეთ ისე, როგორც ინდივიდუალიზმი მეცნიერებაში (საზოგადო ეკონომიკის სფეროში კოლექტივიზმის მომხრე ვართ). ამ დროის მებრძოლი ინდივიდუალიზმი, ახალი ინდივიდუალიზმი ქართველი პროლეტარიატის საქართველოშიც უნდა გამოვიდეს გაბედულათ ცხოვრების მოედანზე, მიუცილებლათ და ეს ინდივიდუალიზმი მიანიჭებს და დაუმკვიდრებს ჩვენი ერის სამერმისო კლასებს წმინდა ქართული სულის აღორძინებას და დიდს, მდიდარს, გადაშლილს შვენიერებასაც.

ჩვენ არ მოვერიდებით არც ზიზღის და მძულვარების გამოთქმას, არც აღტაცების და ენტუზიაზმის გამოხატვას. არ დავერიდებით, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ მძულვარების, ზიზღის, ან აღტაცების და ენტუზიაზმის ნიჭიერათ გამოხატვა ლიტერატურაში ძალიან დიდი მადლიანი საქმეა, თუ ამას ვიწრო პირადი კი არა, საზოგადოებრივი ხასიათი და შინაარსი ექნება... სწორეთ ამიტომაც, ჩვენთვის სულერთია, რომელი პარტიის [illegible] მწერალი გამოთქვამს ამ ჩვენს ჟურნალში ამ ზიზღს და მძულვარებას. ან აღტაცებას და ენტუზიაზმს...

ერთი სიტყვით, „განთიადი", როგორც საზოგადო ეროვნული, პროგრესიული და დემოკრატიული ჟურნალი თავდადებული იქნება ჩვენი ერის კულტურულ განახლებისთვის, გაევროპიელებისთვის და დიდს ყურადღებას მიაქცევს ჩვენი სამერმისო კლასების—ეროვნული კაპიტალისტური ბურჟუაზიის და პროლეტარიატის, ფართო მშრომელი მასსის ინტერესებს სოფლათ, დაბათ და ქალაქათ.

ამასთანავე „განთიადი" ღრმათ დარწმუნებულია იმაშიც, რომ ქართველი ერის ბედნიერება მჭიდროთ გადაბმულია სხვა ერების, ნამეტურ მეზობლათ მცხოვრები ერების ბედნიერებაზე და იგი გულწრფელათ და წმიდათაც ემსახურება მათ შორის დაარსებულ კულტურულ ურთი-ერთობას და კავშირს.

როგორც ხედავთ' ძალიან სიმპატიურია **დედა-აზრი, უმთავრესი მარლვი** ჟურნალის მიმართულებისა, თუმცა ვერ დავეთანხმებით ამ წერილის ზოგიერთ კერძო მოსაზრებათ. ცოტა უფრო ნათლადა მკაფიოთ რომ აღენიშნა თავისი გულის თქმა უკეთესი იქნებოდა, ვინაიდგან ყოველივე ორგანოს გარკვეული სახე უნდა ჰქონდეს. ახლა კი გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომელ ჩვენში არსებულ მიმართულებას უფრო ემხრობა ჟურნალი „განათლება. მემარჯვენეს, მემარცხენეს თუ საშუალოს? ყველა მიმართულების ერთსა და ამავე დროს სამსახური შეძლებულია, ერთ-ერთის უპირატესობა კი არა სჩანს. აი ერთი გამოურკვევლობა ჩვენის აზრით, რაც შეიძლება მალე უნდა მოიშოროს ამ ჟურნალმა, თუ უნდა რომ იცოცხლოს... საზოგადოთ ჟურნალი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა, როგორც ზემოთაც ვსთქვი, მის წერილებს უფრო საგაზეთო ხასიათი აქვს. მაგ. ვ. წერეთლის წერილი („ქართულ გიმნაზიის გადაკეთების შესახებ") მეტად საყურადღებო საგანს ეხება და ამ საგნის აწონ-დაწონვა ერთი კალმის მოსმით ჟურნალისათვის სახამო არ უნდა იყოს.

კერძო, საგაზეთო და საპოლემიკო ხასიათი აქვს ბ-ნ ი. ფანცხავას წერილსაც. (იძულებითი განმარტება) ასეთი წერილის დასტამბვა ახალ ჟურნალში ცოტა უხერხულად მიგვაჩნია. ეს წერილი საშუალებას მისცემს ზოგიერთა ბოროტსა და ფანატიკოსს აბრუ გაუტეხონ ჟურნალს მდაბიო მკითხველის თვალში. მო [illegible] სენებთ, რომ, სამწუხაროთ, [illegible] ბევრია ჩვენში ისეთი რომელი

ებენ კრედიტისა, მიმოსვლისა, წყალენისა, ქალაქის გამოკვებისა, მუშათა ებისა და სხვა მუნიციპალიზაციას. ამრსავე ფუნქციებს აასრულებენ საერო-თვითმართველობანიც. გამრავლდებიამხანაგობანი და კოოპერატივები. ვე დროს კერძო ინიციატივას გზა ხსნება და პიროვნების თავისუფლება რუხველყოფილი შეიქნება.

რასაკვირველია, არავის არ აქვს უფლება სთქვას, ჩემი ნათქვამი უთუოდ რულდებაო. ვინ იცის, იქნება შემდეგი მომენტმა სულ სხვაგვარად დაატრიალოს ისტორიის ბორბალი და ისეთი ნაყოფი მოიტანოს, რომელსაც არავინ ელოდა. ამიტომ მოაზრეს მხოლოდ ასრულებულ ამბებს შემდეგ გამოჰყავს ქველი დასკვნანი.

მეორე მხრით, ნება გვაქვს ახლაც, ოდესაც ჯერ ამბები არ დასრულებულა, წინდაწინ ვიაზროთ და ვიფიქროთ, ს უნდა მოველოდეთ. ამგვარი წინასწარი, ჰიპოტეტიური აზროვნება აუცილებელია: უმისოდ ვერც სარდალი იმოქმედებს, ვერც საზოგადო მოღვაწე და ვერც მწერალი. გავიმეორებ:, საჭიროა, წინდაწინ ვიცოდეთ მომავალი ამბების დაახლოებითი მსვლელობა, რამდენადაც კი დღევანდელი ამბები მას შუქს ჰფენენ, რომ შესაფერი ღონისძიება ვიხმაროთ დღესვე. რაც შეეხება კერძოდ ჩვენი გაზეთის მიმართულებას, იგივეა, როგორიც შარშან იყო.

მაშინაც არა ერთჯერ ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენ ნაციონალისტები ვართ, ე. ი. ვფიქრობთ, რომ ისტორია მარტო კლასთა ბრძოლით არ მოიწყურება და ეროვნული ინტერესების შემო ყველა კლასი იკრიბება. ერთი [illegible] ს ისეთ [illegible] რაც ყველა კლასს ერთს ეროვნულ ორგანიზმად ჰქმნის.

იმავე დროს ინტერნაციონალისტებიცა ვართ და სხვა ერისათვის არა გვინდა—რა ისეთი, რაც ჩვენი ერისათვის არა გვსურს. მაშასადამე, აღვიარებთ ერთა ძმობასა და ერთობას.

და, ნაციონალისტები და ინტერნაციონალისტები რომ ვართ, სწორეთ მიტომვე ვართ დემოკრატებიც. მაშასადამე, როგორც ეროვნულ ჩაგვრას, აგრეთვე შინაგან უსამართლობას უარვყოფთ. და დემოკრატებს, ან ხალხოსნებს, მიტომ ვუწოდებთ თავს, რომ უმთავრეს მიზნად ხალხის ყოველმხრივი წარმატება და კეთილდღეობა დაგვისახავს. რა ვუყოთ, სოციალიზმის ზოგიერთი საეჭვო დებულება რომ უარგვიყვია, მაგიერად რეალურ გზას ვადგევართ და მხოლოდ შესაძლებელისაკენ ვისწრაფით, რადგან ვფიქრობთ, რომ დემოკრატია მხოლოდ მაშინ მიაღწევს . მიზანს, როდესაც ხელს აიღებს უტოპიურ გზასა და იდეალზე.

მაგრამ რა არის ეს შესაძლებელი? აი რა: მუშათა მფარველი კანონმდებლობა, სახელმწიფო კრედიტი, რომლის საშუალებითაც ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება შეიძინოს მიწა და თავშესაფარი, კოოპერატივები, დემოკრატიული საქალაქო თვითმართველობა, ნაციონალიზაცია განათლებისა, პიროვნების ინიციატივის თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა და სხ. და სხ.

არ უარვყოფთ, ჩვენ უკიდურეს შეცდომად მიგვაჩნია, მაგალითად, ქართველი ბურჟუაზიის აღსარება ხალხის მტრად, რადგან ბურჟუაზიას თავისი როლი და დანიშნულება აქვს და მისი გაღატაკება მთელი ერის [illegible] მოქ [illegible]

ბურჟუაზიის წინააღმდეგ ხმას მხოლოდ მაშინ ავამაღლებთ, როდესაც მისი წრეგადასული ექსპლოატაცია და ტირანია მავნებელი იქნება ხალხისა, ე. ი. დემოკრატიისათვის. მაგრამ არა თუ ბურჟუაზიის მთლად მოსპობა არა გვსურს, არამედ მის ეკონომიურ წარმატებას—დიდს ეროვნულ მნიშვნელობას ვაკუთნებთ.

და, ცხადია, ერთხელ და სამუდამოდ უნდა უკუგდებულ იქნას ის ცრუ აზრი, ვითომ ბურჟუაზიის კეთილდღეობა მარტო ხალხის ყვლეფაზეა დაფუძნებული. პირიქით, რაც უფრო მდიდარი და განვითარებულია ბურჟუაზია, მით უკეთესია ხალხის მდგომარეობა. ამას მოწმობენ ფაქტები და მარტო ის ვერა ხედავს, ვინც განგებ იბრმავებს თვალებს და ეშინია, იხილოს ჭეშმარიტება.

მაგრამ, როგორცა ვთქვით. ბურჟუაზიის ეკონომიურ წარმატებას მხოლოდ იმდენად თანაუგრძნობთ, რამდენადაც ეს დემოკრატიისათვის და საზოგადო ეროვნული საქმისათვის სასარგებლო იქნება. მაშასადამე, ჩვენ არ ვიცავთ ბურჟუაზიის ვიწრო კლასიურ ინტერესებს, არ გამოვდივართ, მაშასადამე, ბურჟუაზიის იდეოლოგებად. პირიქით, ჩვენ უმთავრესად საერთო ეროვნული და განსაკუთრებით ერის უმეტესობის ყოველმხრივი წარმატება გვაინტერესებს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ჩვენს თავს ეროვნობისა და დემოკრატიის იდეოლოგები, ე. ი. „ეროვნული დემოკრატები". ამ მიზანს ემსახურება ჩვენი გაზეთი დღეის იქით, როგორც ემსახურებოდა დღემდის.

ვასილ წერეთელი.

რომ ყურით და არა გულით, ჩაგონებით და არა გონებით!...

[illegible]ებულია მოთხრობა ბ-ნის ივ. ი—ანისა. „[illegible] წყინვალე მომავლისაკენ." თუ არა ვცდებით, ბ-ნი ივ. ი—ანი პირველათ უნდა გამოდიოდეს სამწერლო ასპარეზზე. მოთხრობა ჯერ დაუმთავრებელია, მაგრამ მის ავტორს ეტყობა ნიჭი დაკვირვებისა და ცხოვრების მხატვრულათ დასურათებისა. ვუსურვებთ ახალს ავტორს წარმატებას და ბეჯითობას.

კარგია ბ-ნ ჩახრუხაძის ლექსიც „ჩემს ქვეყანას" ბოლოში, ცოტა, რომ არ „ჩაგჩახრუხაძებინა."

ტენდენცია ძალიან ვნებს ყოველივე ხელოვნურ ნაწარმოებს და მით უმეტეს ლექსს. მაგალითად იმის თქმა „რომ „გითვლი გმობას: (სამშობლოს).

რატომ? მიტომ შავ ღრუბელ ქვეშ საკოდავათ რომ გართხმულხარ.

და როცა ის მეხსა გატეხს, შენ კი სდუმხარ, მხოლოდ სდუმხარ!..." ო ცოტა გადაჭარბებული თქმა უნდა იყოს. ჩვენი ქვეყანა თუ სდუმს და გონს ვერ მოსულა, ჩვენი აზრით, თვით ჩვენი ქვეყნის ბრალი კი არ არის, არამედ იმათი ბრალია, ვინც ამ ქვეყნის მაჯის ცემას ალღო არ აუღო და ათასგვარ ბაქიაობას ჩასძახიან...

სიტყვამ მოიტანა და ერთი მეგობრული რჩევა უნდა მივცე ახალგაზდა მწერლებს. ფსევდონიმათ ნუ ხმარობენ ისეთ გვარებს, რომლებიც ერთხელ ვე არიან ცნობილნი ჩვენს მწერლობაში, ნამეტნავათ ძველ, კლასიკურ მწერლობაში. ჩვენ ვიცნობთ ჩახრუხაძეს, კლასიკ ჩახრუხაძეს და მისი გვარის ახალგაზდა მწერლისაგან ფსევდონიმათ ხმარება ცოტა არ იყოს კადნიერებათ მიგვაჩნია...

ა. ც—ანი.

პატარა ფელეტონი.

გორელი.

(ნაწყვეტი ივანე როსტომაშვილის „ენციკლოპედიური ლექსიკონიდან, რომელიც 2518 წელს გამოვა).

გორელი ერთი პაწაწინა სიტყვა სულ ექვსი ასოსაგან შესდგება, მაგრამ ამ, მოკლე სიტყვას ფართო და მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს.

გორელი?! ამ!... წარმოიდგინეთ [illegible] დაბალი [illegible] მაღალ ქუსლებიანი ფეხსაცმელი აცვია, მაგრამ მახლას!... წარმოიდგინეთ დაბალ-დაბალი, ჩასუქებული ვაჟბატონი, პირტიტველა, წვერულვაშ-აღერეხული, თმა წვერ-ულვაშ-ქალარა გამორეული, სულ მთლად გათეთრებული და სხვა და სხვა... დინჯი, აუჩქარებელი სიარული, ქუდი ზედ წარბებზე ჩამოფხატული, ნიშანი იმის, რომ მას ყურს შენ სულში ჩაგიძვრეს, ძირიან-ფესვიანათ შეგისწავლოს და თავისი თავი ეგვიპტელ სფინქსათ გაჩვენოს. ხელები, ჩვეულებრივ, უკან ზურგ ქვემოთ უჭირავს. მისი ცხოვრება მეტად საგულისხმოა და აზრიანათ მიმდინარეობს. დილის საუზმის შემდეგ სამეფო ქუჩის გეოლოგიურ ცვლილებას სწავლობს; ფოშტიდან მოყოლებული ხიდის ყურამდი გულმოდგინეთ ათვალიერებს ყველაფერს, მისი გამოცდილი თვალი ადვილათ ამჩნევს პატარა ცვლილებას, ახალი რამე ხრაფერი გამოეპარება. ნაცნობებს ღირსეულათ სალამს აძლევს, ხელს დინჯათ ქუდთან მიიტანს, თუმც არ მოიხდის, რადგან საკმაოთ სთვლის რომ გაჩვენა-სალამი მოგეცით. რა შეამჩნევს, რომ ელექტრონის სახთი ქუჩაში გაბზარულია, მოქალაქობრივი გრძნობა გაეღვიძება, მძიმეთ ამოიოხრებს და სადგურისაკენ გაემგზავრება. აქ მძიმე და მტანჯველი ფიქრები, ფიქრები, რომელიც ქვეყნიერებას აღელვებს და ერთმანეთს ახლის, ფიქრები.. შავი ფიქრები ყორანსავით ჩამოეშვება მას პირისახეზე და ბაირონის ჩაიროლდისავით დადუმებული, თავჩაქინდრული მძიმეთ და ღირსეულათ უახლოვდება სადგურის ზაქანს. სადგური ჩვეულებრივი ყოველ დღიური ფუსფუსი მასზედ კეთილად მოქმედობს. კუდაბზიკა, ფერ-უმარილ-პუდრით გათითხნილი ქალები, რომელთაც ამ კოსმეტიკით ტყვიის ფერი ადევთ), უღვიძებენ მას ესთეტიურ გრძნობას. იცინის, ხარხარობს, ტუჩებს აცმაცურებს, თვალები პირუტყვული გრძნობით ევსება და რიხიანათ უცნობ ქალებს დაურიდებლად ეუბნება:

— შენი „[illegible]" [illegible]!

— შენი თვალები ჩავაკნატუნე!.."

აზროვნება კანიბალისა აქვს, ესთეტიურ გრძნობას კბილებით ღეჭავს და მუცელში გაქანებით აფასებს ყოველ მოვლენას, მხატვრულ ნაწარმოებს, ჰენიოსის ქმნილებას საჭმელთა გემოვნების თვალსაზრისით უყურებს.

— როგორ მოგეწონა დღევანდელი წარმოდგენა? ან არტისტები როგორ თამაშობდნენ?

— ისე, რა?! თათარიახნათ. რო ვსთქვა ძალიან კარგად—არ შეიძლება, აი, როგორც მოგიტანონ გოჭი უმძრო და უპილპილოთ!..

კუდაბზიკა, ფერ-უმარილ-პუდრით გალესილი ქალები სიამოვნებით უსმენენ იმის ყბედობას და თავში ათასნაირი აზრები უბზუიან. ხალხი თანდათან მატულობს, მოელიან სამგზავრო მატარებელს. კუდაბზიკა ქალების გრძნობა-გონება ახლა სულ მომავალ მატარებლის მგზავრებს ეკუთვნის და ჩვენი გორელი, ახლა, მაჩანჩალა ფინია ძაღლივით იმათ კაბების კუდათ გამხდარა, მაგრამ ის სრულებით არ ეცემა სულით, იცის, რომ „სანადიროთ" გამოსული კუდაბზიკა ქალები თავისი ნემსკავებით, თავისი სიკეკლუცით ვერ გადმოისკუპენ ახალგაზდა მოგზაურებს ვაგონიდან გორში და იქიდან ეკლესიაში გვირგვინ ქვეშ. იცის ყველა ეს და ამას ყურადღებას არ აქცევს, თუმცა ნერვებ აშლილი ახველებს და ყელში მომდგარ ნერწყვს ტანჯვით ყლაპავს.

მართლაც, მატარებელი ჩერდება სადგურში, ბევრი ახალგაზდა ყმაწვილი კაცები მატარებლიდან ხტებიან და ბუფეტისაკენ გაშმაგებული მიეშურებიან პილატეს ცრემლის სასმელის იქით კადასასხმათ. ბუფეტიდან უკანვე გაშმაგებული ვაგონისაკენ მიილტვიან, რომ მაცთურ გორში არ დავრჩეთო. კოსმეტიკა, სიკეკლუცე, შავი თვალები, ახალი მოდის შლიაპა, ყვითელი ბოტინკები... ყველა ეს არ მოქმედობს ცივ და მატერიალიზმით გამოტენილ ახალ გაზდა მოგზაურების სულზე.

გორელი მშვიდია და ხიფათს არ მოელის,- კარგად შეუგნია ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყნიერებაზე ყველაფერი ცვალებადია, წარმავალია და არც სცდება. მატარებლის წასვლამდის ის მაშინვე პირს აღებს და საზარლათ აზმორებს. შემდეგ იგი კვლავ გამოცოცხლებულია და საერთო ყურადღებას ხელ ახლა იმახურებს.

გორელს დიდი სიყვარულით აგზნებული გული აქვს. იმის გული აბედივით ადვილათ ენთება; საკმარისია პატარა ნაპერწკალი, რომ დიად განმანადგურებელ ცეცხლათ გადაიქცეს და ისევ ჩაჰქრეს. „რომანები" ძალიან უყვარს, ახლად „დავარიკებული" ქალები, რომლებთანაც დიდი ნიჭის გამოჩენა არ არის საჭირო და მას, ჩვენში კი დარჩეს, ძალიან მოსწონს როცა თავის თავს დონჟუანის ბურუსში გახვეულს ჰხედავს. სადგურიდამ ყოველთვის ერთ ერთ თავის დულცინეიას უსაყვედურებს: „იმ წიტიან ვირთაგვას თვალებს რათ უშვრებოდიო!"

გაჯავრებული თავს ანებებს და მირბის კუდმოგლეჯილი. ერთის მხრით დიდი სურვილი აქვს დარჩეს მასთან, მაგრამ უნდა ხასიათის სიმტკიცე აჩვენოს და გაშმაგებული განაგრძობს აჩქარებულ სიარულს. აქ მოაგონდება, რომ დღეს კრებაა, სახე გაუბრწყინდება და გაეშურება კრებისაკენ. კრებაზე თავი თავისუფლად უჭირავს, ხეირიანად არას ჩაუკვირდება, რაღაცას შორიდან მოკრამს ყურს, იღებს სიტყვის ნებას და უთავბოლოთ სისულელეს სჩმახავს. პატიოსნება, თავმოყვარეობა, უანგარობა, ენერგია ეს სიტყვები მას იმისთანა თხათ გადაუქცევია, რომელზედაც უსინდისოთ ზედ გადამჯდარა და თავდავიწყებით ზევით და ქვევით აჭენებს. ყველა ამ თვისებების არა თუ ქონე არ არის, არამედ ყველა ამაზე წარმოდგენაც არ აქვს.

— ბატონებო, თავმოყვარეობა მე არ ნებავს... მაძლევს... მე ენერგიით გაჟღენთილი... პატიოსნებას ვფიცავ... უანგარო შრომით... ყველა ეს დამამცირებელია და მე დემონსტრატიულად გავდივარ დარბაზიდან." ათავებს გორელი, რადგან დიდხანს გონების ვარჯისობას არ არის შეჩვეული და „[illegible]" დარბაზიდან [illegible] ამაში შეხვე[illegible]ბა მოპირდაპირეს, მკვახე სიტყვას მიახლის, რაზედაც მოპირდაპირე თავისებურად უპასუხებს გორელს, რომელიც კიბეებზე რიხინ-რიხინით გორდება. წამოდგება ხლაზნით ფეხზე, ისვებს ხელს დაბეგვილ ალაგებზე, იშინჯავს გასისხლიანებულ ცხვირს. ვერ გამოურკვევია რა მოხდა?! ახსოვს მხოლოდ, რომ შეკუმშული მუშტი სწრაფად ცხვირში ეცა და ბზრიალივით დატრიალებული, კუკუნაკრავი ბურთივით ზემო სართულიდან ძირს აღმოჩნდა. ფიქრობს და ვერაფერი ვერ გაუგია, სანამ კეთილი კაცი არ გამოჩნდება და არ აუხსნის, რომ ის კრებიდან პანღურ პანჩურით გამოაგდეს. დგას გორელი, ნაცემ ნატყეპი, ხელსახოცით გასისხლიანებულ ცხვირს იწმენდავს და ქვეყანა წითელ ფრად ეჩვენება.

ამით არ თავდება მისი საზოგადო მოღვაწეობა. იგი თავის თავს მელპომენის ღვიძლ შვილად სთვლის. ადამიანთა შური და ქიშპი მიზეზია იმისი, რომ ის, მქონე დიადი მსახიობის ნიჭისა, უბრალო სცენის მოყვარეთ ითვლება. ქვეყნიერების უმგზავსი წყობილება, უფულობა და სხვა მრავალი მიზეზები ხელს არ უწყობენ მისი ნიჭის განვითარებას... მაგრამ „იშტიბარს არ იტეხს და ზოგჯერ თავისი თამაშით გორელებს ისე „უტკბობს" ესთეტიურ გრძნობას, რომ გორელები არჩევენ სახლში ჯდომას, თავის ნიჭზე დიდი წარმოდგენა აქვს და ყოველთვის სცდილობს დაწყებული საქმე გვერდზე წაიყვანოს, თუ რომ პირველი როლი არ მისცეს. თუ ქამანდები არ გაუვა, მაშინ წარმოდგენაზე შეაგროვებს თავის ამქრებს, რა ხალხიც გორში, მაოლობა უფალს, ბევრი შეიკრიფება, და ამქარი ღრიანცელით დაიდ რაბით უშლის მაყურებელს პიესის სმენას. თუ ეს შრომა უნაყოფოდ მიდის, ზევიდან ბალკონიდან ბურწნუთს აფანტავს და ხალხს ცხვირს აცემინებს.

ცოტა არ იყოს მუშასაც სწყალობს. ყოველ ღამ, როცა ირგვლივ ქალაქი გახვეულია სიბნელის წყვდიადში, ყველა სულდგმული მიჩუმებულ-მიმკვდარულა და მხოლოდ ჩამქრალი ელექტრონის ფარნის საცოდავი შრიალი გაისმის ქუჩაში — ის იღებს კალამს ხელში და დიდი გონების ვარჯიშობის შემდეგ, [illegible] ლექსს და მეორე დღეს „ქართლის" რედაქციაში მიაქვს. საცოდავი მრავალ-ტანჯული ია, მრავალ-ტანჯული ამ გვარი პოეტების ნაწარმოების კითხვით, ათვალიერებს ხელთ-ნაწერს:

„თოვლით მისილა ცივი ზამთარი",
„ძაღლი გამორბის კუდ-აბზეკილი".
„ლიზამ აიღო, დაუკრა თარი",
„გულს გაუყარა ნემსი და რკალი".

კითხულობს ყველა ამას ია, ასკილივით აქნევს თავს, დინჯათ აკეცავს, ნაგვის გოდორში ისვრის და გონორარად ორიოდ ფურთხს უძღვნის ავტორს.

პასუხის მისაღებათ მიდის გორელი რედაქციაში, მიდის გულის ფანცქალით, თავის თავს შილერის, ჰიოტეს, ბაირონის მეგობრად სახავს და რედაქციაში იას ლექსის ბედ-იღბალზე ეკითხება.

ია, როგორც გამოცდილი დიპლომატი, იწყობს:

ლექსი ჩინებულია, მხატვრული, აზრიანი, მუსიკა ჰარმონიით სავსე, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ თანამედროვე პრესის მდგომარეობა... თქვენ იქ ერთი ალაგი გაქვთ: „ლიზამ აიღო დაუკრა თარი"... ია მრავალმნიშვნელოვნათ გადახედავს გორელს.

— იცით, ჩვენ მაგაზე მთავრობა რას გვიზამს? გაზეთს დაგვიკეტამს და ჩვენც ცივ გუბერნიაში გვიკრავს თავს. ისე რომ თქვენი ლექსის დაბეჭდვა მოუხერხებელია მაგ მოსაზრებით, ჩემო კარგო".

გორელი ქუდს ხელში ატრიალებს, სტოლზე მიყრდნობილი გულმოდგინეთ ისმენს რედაქტორის სიტყვებს და გულნაკლავი სწყევლის დღეჭირ ხანას და პრესსის შევიწროვებულ მდგომარეობას.

გორელი პირველი შეხედვით უსაქმური კაცი გეგონებათ, მაგრამ სცდებით ის ყოველთვის გართულია შრომაში.

იმას ყოველთვის შეხვდებით სასამართლოს კარებთან შეჭუჩხულ გლეხკაცებში.

— ისეთი თხოვნა დაგიწერო, რომ ქვა გახეთქოს, არა თუ საქმე მოიგო. შენ მე მომანდე.. რაა?... იმას რა გაეგება! გადაყრუებულა ბებერი ძაღლივით, „ზაიავლენიას" „პროშენიის მაგივრათ სწერს. გერბოვი მარკისა და იურისპრუდენცია-აპელაცია-იზოლაცია - დოკუმენტაცია არგუმენტაციისა არ გაეგება!" გლეხკაცი შესცქერის მას გაკვირვებული, არაფერი ესმის იმისი ლაპარაკისა, სიტყვების რახარუხი უბრუებს თავს.

„ძაან გოგრიანი თავი აქვს ამასა, მოდი და ნუ ანდობ ამას საქმესა", ფიქრობს გლეხკაცი – რასაკვირველია, აქ ფული დაგიჯდება: „გერბოვოი სბორი", ილოზაცია და აპელაცია, კასაცია და „პროკურაცია", ამას ყველას ფული უნდა, მაგრამ საქმე კაი მოგებული იქნება.

— აბა, შენ იცი შენი ჭირიმე, როგორ „ქართულსაც" დაწერამ... გორელი კმაყოფილათ იღიმება და ორივენი იქვე ახლო მარანში ჩაძვრებიან დასაწყრათ და ყელის ჩასასველებლათ.

კლუბში სიარულიც ძალიან უყვარს და ქაღალდის მოთამაშეც არის. ჯიბეში თახძაანი სამი მანეთი უჭირავს და ისეთი რიხით თამაშობს, გეგონებათ მთელი ქვეყანა მისიაო. თუ წააგებს- ნისიათ თამაშობს. თან ყოველთვის უშველებელი დავთარი დააქვს, სადაც ქაღალდში წაგებულ-მოგებული ნისიები უწერია. — შენი მე [illegible] ათი თუმანი გმართებს, [illegible] მანეც მივუმატოთ ამას... [illegible]... იქნება. ორას ოცდა ათი თუმანი და ორი კაპიკი.

ქაღალდის თამაშის შემდეგ ბუფეტში მიდის, გადასცხებს რვა არაყს, ოთხ სტაქან ლუდს, მიირთმევს ნახევარ ინდოურს და შემდეგ უწოდებსა მებუფეტეს.

— ვანო! აბა, დაიჭი ორი არაყისა მიდლე. სულ ორი არაყი დავლიე". თვალს არ დაახამხამებს და ისე აძლევს ორი არაყის ფულს.

თავის თავი ღირსებით სავსე და უნაკლულო ჰგონია, არავის არ გაატარებს ქუჩაში, რომ რამე კილი და წუნი არ დასდვას, რამე სასაცილო არ გამოუნახოს... ეს გორელის ჭკუის სიმოკლის ნიშანია, მაგრამ ის ამაზე სრულებითაც არ დარდობს.

— დახე, როგორ გაბერილი ინდოურივით დადის... შეხედე, ცხვირი ბუზების ნაომახს არ მიუგავს. ეს ძლიერ ჰკვიანი ტუტუცი რომ არ იყოს"... და სხვა ამისთანა აფორიზმები მარგალიტ სავით იფრქვევა იმის ბაგედან.

ქეიფი და დროს გატარება კარ იცის: დაიწყებს ხიდის ყურიდან საცა დუქანს დაინახავს, თავს დაღუნავს შედის, იქიდან მეორეში გაფაცეცები გადადის, გეგონებათ ჭეშმარიტებას ეძებ სო... და, მართლაც, იგი აქ ჰპოვებ ყველა იმ სულიერ საზრდოს, რომელსა დაეძებს... აქ ჰპოვებს იგი იმ „ლურჯ ფრინველს", რომლის დაჭერასაც კაცობრიობა სცდილობს.

დამის წყვდიადში გორის ციხე თავი შეკეთებულ მოყვითალო კედლებით დაკრეჭილ კბილებით, მოციმციმე მჟღ ტავი სანათით დაცინვით გადმოჰყურებ გორის მკრთალათ განათებულ ქუჩებ სადაც მოსჩანს ბარბაცით მიმავალი გ რელი, დაღლილი თავისი აზრიანი არ ბობით და მრავალფეროვანი ცხოვრ ბით. უყურებს ამ ჭის ბუმბერაზი გორი ციხე, უკვირდება მის ცხოვრებას ყელში მომდგარ ჰომერისებურ ხარხარ ძლივს იკავებს.

ჟორჟ ბარნაბი.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყოველნაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება	20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც.	20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით	15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე	10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული	25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი	50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი	3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія	20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა	35 „

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით	85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით	20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით	50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე	30 „
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში	50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I.	70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II.	70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა	20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით	15 „
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით	60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე	10 „

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ. თ.